

ECRI (ეკრუ)
**ევროპის კომისია რასიზმისა და
შეუწყნარებლობის წინააღმდეგ**

**ეკრუ-ის ზოგადი პოლიტიკის
რეკომენდაცია №5:**

**ბრძოლა მუსლიმანთა წინააღმდეგ
მიმართულ რასიზმსა და
შეუწყნარებლობასთან**

სტრასბურგი, 16 მარტი 2000



Secretariat of ECRI
Directorate General of Human Rights and Legal Affairs
Council of Europe
F - 67075 STRASBOURG Cedex
Tel.: +33 (0) 3 88 41 29 64
Fax: +33 (0) 3 88 41 39 87
E-mail: combat.racism@coe.int

<http://www.coe.int/ecri>

ევროპის კომისია რასიზმისა და
შეუწყნარებლობის
წინააღმდეგ:

შეახსენებს რა, ევროპის საბჭოს
წევრი სახელმწიფოების
სახელმწიფოსა და მთავრობის
მეთაურთა მიერ 1993 წლის 8-9
ოქტომბერს ვენის სამიტზე
მიღებულ დეკლარაციას;

შეახსენებს რა, რომ
დეკლარაციის ჩარჩოებში
განსაზღვრული, რასიზმის,
ქსენოფობიის, ანტიემიტიზმისა
და შეუწყნარებლობის
წინააღმდეგ ბრძოლის
„მოქმედების გეგმა“ სთავაზობს
მინისტრთა კომიტეტს
ჩამოაყალიბოს ევროპის კომისია
რასიზმისა და შეუწყნარებლობის
წინააღმდეგ, რომლის ერთ-ერთი
ამოცანაა წევრ
სახელმწიფოთათვის ზოგადი
პოლიტიკის რეკომენდაციების
შემუშავება;

შეახსენებს რა, აგრეთვე ევროპის
საბჭოს წევრ სახელმწიფოთა
სახელმწიფოს და მთავრობის
მეთაურთა მიერ 1997 წლის 10-11
ოქტომბერს სტასბურგში
გამართულ მეორე სამიტზე
მიღებულ „დასკვნით
დეკლარაციასა“ და „მოქმედების
გეგმას“;

ხაზს უსვამს რა იმ ფაქტს, რომ
დასკვნითი დეკლარაცია
ადასტურებს ევროპის საბჭოს
წევრ სახელმწიფოთა მიზანს
ააშენონ უფრო თავისუფალი,
უფრო ტოლერანტული და

სამართლიანი ევროპული
საზოგადოება და რომ ეს
დეკლარაცია მოუწოდებს
რასიზმის, ქსენოფობიის,
ანტიემიტიზმისა და
შეუწყნარებლობის წინააღმდეგ
ბრძოლის გაძლიერებისაკენ;

შეახსენებს რა, რომ მე-9 მუხლი
ევროპის კონვენციისა ადამიანის
უფლებების შესახებ იცავს აზრის
გამოთქმის, სანდისისა და
რელიგიის თავისუფლებას;

შეახსენებს რა, აგრეთვე
ადამიანის უფლებათა შესახებ
ევროპის კონვენციის მე-14
მუხლში მოცემულ
არა-დისკრიმინაციის პრინციპს;

ითვალისწინებს რა
საპარლამენტო ასამბლეის მიერ
1991 წლის 19 სექტემბერს
რეკომენდაცია № 1162-ში
შემოთავაზებულ წინადადებებს
ისლამური ცივილიზაციის
წვლილზე ევროპულ
კულტურაში;

აღნიშნავს იმ დასკვნებს,
რომლებიც გამოტანილ იქნა
სემინარზე რელიგიის შესახებ,
აგრეთვე მიგრაციის შესახებ
ევროპის კომისიის მიერ 1998
წლის 26 ნოემბერს იმიგრანტთა
ინტეგრაციას;

ხაზს უსვამს რა, რომ ევროპის საბჭოს ქვეყნების მიერ დადებული შეთანხმებები, რომლებიც აწესრიგებს ურთიერთობებს სახელმწიფოსა და რელიგიას შორის დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან;

დარწმუნებულია რა, რომ მშვიდობიანი თანაარსებობა პლურალისტურ საზოგადოებაში დამყარებულია დემოკრატიულ სახელმწიფოში რელიგიათა შორის თანასწორობასა და არა-დისკრიმინაციაზე, მკვეთრი განსხვავებით სახელმწიფო კანონებსა და რელიგიურ მცნებათა შორის;

შეახსენებს რა, რომ ურთიერთგავლენის მქონე რელიგიები - ქრისტიანობა, იუდაიზმი და ისლამი საუკუნეების მანძილზე აყალიბებდნენ ევროპულ ცივილიზაციას. მათ შორის აღსანიშნავია ევროპის საზოგადოებათა განუყოფელი ნაწილის - ისლამის დადებითი წვლილი, ზემოთმოხსენებულ საზოგადოებათა უწყვეტი განვითარების პროცესში;

დამწუნებულია რა ისლამის და მუსლიმანთა სათვისტომოების მიმართ რელიგიური შეუწყნარებლობის მზარდი მაჩვენებლებით იმ ქვეყნებში, სადაც მოსახლეობის უმეტესი ნაწილი სხვა აღმსარებლობისაა;

სინანულით აღნიშნავს რა იმ ფაქტს, რომ ზოგჯერ ისლამის არასწორი ინტერპრეტაცია ხდება, რაც გამოწვეულია მტრული სტერეოტიპებით, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოებისათვის მცდარი ინფორმაციის მიწოდებას, თითქოსდა ეს რელიგია მას რაიმე საფრთხეს უქადდეს;

უარყოფს რა ყველა შეხედულებას ისლამზე, ამასთანავე აღიარებს რა ამ რელიგიისათვის ნიშანდობლივ მრავალფეროვნებას;

ღრმად დარწმუნებულია რა, რომ აუცილებელია მუსლიმანთა სათვისტომოების მიმართ დამკვიდრებულ ცრურწმენასთან ბრძოლა იმ ფაქტის ხაზგასმით, რომ არსებობს ცრურწმენის სხვადასხვა გამოვლინებები, რომლებიც უმეტესად უარყოფით, ზოგად დამოკიდებულებებს გულისხმობს, მაგრამ, აგრეთვე მოიცავს დისკრიმინაციულ და ძალადობის აქტებსა, ისევე როგორც მსხვერპლის გამწარების პრაქტიკას;

შეახსენებს რა, რომ მიუხედავად ზემოთმოხსენებული რელიგიური შეუწყნარებლობის ნიშნებისა, ამჟამინდელი ევროპის ერთ-ერთი მახასიათებელია პლურალისტულ საზოგადოებებში რელიგიათა მრავალფეროვნებისაკენ სწრაფვა;

უარყოფს რა, რელიგიური
ექსტრემიზმის ყოველგვარ
გამოვლინებას;

ხაზს უსვამს რა, რომ
საზოგადოებაში კულტურათა და
რწმენათა სიმრავლის პრინციპი
საზოგადოების შიგნით
რელიგიათა თანასწორობის
სურვილს ემყარება;

წევრ სახელმწიფოთა მთავრობებს, რომლებშიც მუსლიმანური
სათვისტომოები უმცირესობას შეადგენს, შემდეგ რეკომენდაციებს
აძლევს:

- უზრუნველყონ მუსლიმანთა სათვისტომოების დაცვა რელიგიისა
და ადათ-წესების დისკრიმინაციისაგან;
- სახელმწიფოში არსებული ვითარების შესაბამისად დააწესონ
სათანადო სანქციები რელიგიურ საფუძველზე ჩადენილ
დისკრიმინაციულ ქმედებებზე;
- მიიღონ სათანადო ზომები, რათა გარანტირებულ იქნას რელიგიის
თავისუფლება. ამ საკითხის განხილვისას, განსაკუთრებული
ყურადღება უნდა მიექცეს ზედმეტი იურიდიული თუ
ადმინისტრაციული დაბრკოლებების ჩამოშორებას, ისლამის
მიმდევარ პირთათვის სალოცავთა საჭირო რაოდენობის აშენებას
და მათი დაკრძალვის ადათ-წესების გათვალისწინებას;
- უზრუნველყონ საზოგადოებრივ დაწესებულებათა ინფორმირება
იმის თაობაზე, რომ საზოგადოების რელიგიური
მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, აუცილებელია მისი
კულტურული თუ სხვა კანონიერი მოთხოვნილებების
დაკმაყოფილება;
- მიღებულ იქნას სათანადო ზომები რელიგიური მრწამსის
საფუძველზე განათლების სფეროში დისკრიმინაციის ნებისმიერი
გამოვლინების აღმოსაფხვრელად;
- მიიღონ ზომები, საჭიროების შემთხვევაში სამართლებრივად,
რელიგიურ საფუძველზე დასაქმებისა და სამუშაო ადგილის
მოპოვების მისაწვდომობაში დისკრიმინაციასთან საბრძოლველად;

- ხელი შეუწყონ სამსახურით უზრუნველყოფელ პირებს „ქცევის ნორმების“ შემუშავებაში, რათა არ მოხდეს რელიგიურ საფუძველზე დასაქმებასა და სამუშაო ადგილის მინიჭებაში დისკრიმინაცია და ეცადონ, დასაქმებულთა მაგალითზე, საზოგადოების მრავალფეროვნების ასახვას;
- გამოარკვიონ, განიცდის თუ არა მუსლიმანთა სათვისტომოები დისკრიმინაციას, რომელიც მათი საზოგადოებისაგან გარიყვის მიზეზს წარმოადგენს და, თუკი ეს ასეა, მიიღონ ამ ფენომენთან საბრძოლველად ყველა საჭირო ზომა;
- განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მუსლიმან ქალთა მდგომარეობას, რომლებმაც შეიძლება ორგვარი დისკრიმინაცია განიცადონ - როგორც ქალებმა და როგორც მუსლიმანებმა;
- მიიღონ სათანადო ზომები, რათა სასკოლო და უმაღლეს სასწავლებელთა პროგრამები, განსაკუთრებით კი ისტორიის სწავლების პროგრამა, არ წარმოადგენდეს რელიგიისა და კულტურის ისტორიის დამახინჯებულ ინტერპრეტაციას და საზოგადოებას ისლამის მიმართ მტრულად არ განაწყობდეს;
- შეემუშავდეს სკოლებში რელიგიის სწავლების იმგვარი მეთოდები, რომლებიც საზოგადოების მიერ კულტურული პლურალიზმის პატივისცემას და, ამ მიზნით, მასწავლებელთა სწავლებას უზრუნველყოფს;
- მთავრობებსა და მუსლიმანთა სათვისტომოებს შორის შეხედულებათა გაზიარების საფუძველზე მოხდეს იმამთა შერჩევა და იმ საზოგადოების შესაფერისი ცოდნითა და გამოცდილებით უზრუნველყოფა, რომელშიაც მათ მოღვაწეობა მოუწევთ;
- მხარი დაუჭირონ ნებაყოფლობით დიალოგს ადგილობრივ და სახელმწიფო დონეზე, რომელიც აამაღლებს იმ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ცნობიერებას, სადაც განსაკუთრებული ძალისხმევაა საჭირო სოციალური და კულტურული კონფლიქტისათვის თავის ასარიდებლად;
- უზრუნველყონ მუსლიმანთა წინააღმდეგ მიმართულ შეუწყნარებლობასა და დისკრიმინაციასთან საბრძოლველად გატარებული ზომების შეფასება და მონიტორინგი.

